ხელშეკრულება № 445
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

"17" ნოემბერი 2011 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის.: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16 ტელ. 2-261-334, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204862078), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **გიორგი კერვალიშვილის** სახით და სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი" (მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №67; ტელეფონი: 2-505-111; საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE13TB1100000005700652, სს „თიბისი ბანკი", კოდი 220101850 (TBCBGE22), სკ – 204426674), შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **გიორგი კვირიკაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 "მომსახურება" _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.5 მიმწოდებელი (მზღვეველი) – სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი", რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და გადასცემს დამზღვევს (დაზღვეულს) ავტომობილისს დაზღვევის პოლისს;

1.6 შემსყიდველი (დამზღვევი) - პირი, რომელიც ამ პირობებით და კანონმდებლობის მიხედვით, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ავტომობილს აზღვევს მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;

1.7 დაზღვეული - პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება აავტომობილის დაზღვევა;

1.8 მოსარგებლე - პირი, რომელიც ამ პირობების თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას;

1.9 სადაზღვევო პოლისი - დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც თან ერთვის ავტომობილის დაზღვევის პირობები და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.10 სადაზღვევო თანხა - სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი. სადაზღვევო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ავტომობილის საბაზრო ღირებულებას. ამასთან სადაზღვევო თანხა წარმოადგენს მხარეთა შორის შეთანხმების საგანს და აღინიშნება კონკრეტულ პოლისში;

1.11 სადაზღვევო ღირებულება - დანართი №1-ით (რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) და დანართი №2-ით (რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) განსაზღვრული ავტომობილების ღირებულება;

1.12 სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა ან ქონება, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის დამზღვევს (დაზღეულს) წინამდებარე პირობების საფუძველზე;

1.13 სადაზღვევო პრემია - თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევმა (დაზღვეულმა) მზღვეველს ავტომობილის დაზღვევის საფასურად - დაზღვევის ღირებულება. პრემია ანგარიშდება

დაზღვევის კონკრეტული ობიექტის, რისკებისა და სხვა შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით. პრემიის ოდენობა განისაზღვრება ავტომობილის დაზღვევის შესაბამისი პოლისით;

1.14 სადაზღვევო ტარიფი - სადაზღვევო პრემიის სიდიდე გამოხატული პროცენტულად სადაზღვევო თანხიდან. სადაზღვევო ტარიფი დამოკიდებულია დაზღვევის კონკრეტული ობიექტის მახასიათებლებზე, რისკებსა და სხვა შესაბამის ფაქტორებზე. ტარიფის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი პოლისით;

1.15 შემთხვევა - წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული რისკებით გამოწვეული გარემოება;

1.16 სადაზღვევო შემთხვევა - შემთხვევა, რომლის დადგომისას წინამდებარე პირობები ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას და რომელიც დასტურდება მზღვეველის მიერ შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტით;

1.17 სადაზღვევო რისკი – მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა. სადაზღვევო რისკები განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით;

1.18 ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177 – 179-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედებები;

1.19 უბედური შემთხვევა - შემთხვევა, როდესაც ზიანი მიადგა დაზღვეულ ავტომობილში მყოფი მძღოლის და მგზავრების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ავტომობილის მართვისას;

1.20 უფლებამოსილი მძღოლი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ყველა თანამშრომელი, რომელსაც გააჩნია მოქმედი ავტომობილის მართვის მოწმობა;

1.21 მესამე მხარე - ნებისმიერი პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომლის ჯანმრთელობა ან ქონება დაზიანდა დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად, გარდა უშუალოდ დაზღვეული ავტომობილის და მგზავრების და მძღოლის, დამზღვევის (დაზღვეულის), დამზღვევის (დაზღვეულის) ოჯახის წევრების;

1.22 მესამე პირის წინაშე დაზღვეულის პასუხისმგებლობა - დაზღვეულის პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე ამ უკანასკნელის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისათვის ავტომობილით მიყენებული ზიანისათვის (ეს პირობა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც ზიანის დადგომის მომენტისათვის იმყოფებოდნენ დაზღვეულ ავტომობილში, მათთვის მიყენებული ზიანი განიხილება, როგორც უბედური შემთხვევა);

1.23 საბაზრო ღირებულება - ავტომობილის საბაზრო ღირებულება დაზღვევის მომენტისათვის, ანუ თანხა, რომლითაც საქართველს ბაზარზე დაზღვეული ავტომობილის იდენტური პარამეტრების, სპეციფიკაციის და მონაცემების მქონე ავტომობილის შეძენაა შესაძლებელი;

1.24 აქსესუარი - ავტომობილის ნაწილი/დეტალი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება ავტომობილის გამართულ მუშაობას, მათ შორის - აუდიო/ტელე/ვიდეო აპარატურა, გართობის სხვა საშუალებები, ტელეფონები, რაციები, კომუნიკაციის სხვა სისტემები;

1.25 ცალკეული დეტალები - კანტები, მოლდინგები და პლასტმასის სხვა დეტალები, საბურავები, დისკები და მისი საფარები, შუშის საწმენდები, ემბლემები, ანტენები, სხვა სახის დეკორატიული დეტალები;

1.26 ცალკეული დაზიანება - ავტომობილის დეტალის/ნაწილის შემთხვევითი გარეგანი დაზიანება, რაც არ არის გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევით;

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით და დანართი №2-ით განსაზღვრული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ავტომობილების სრული დაზღვევა შემდეგი სადაზღვევო რისკებისაგან (CPV კოდი - 66514110):

ა) ავტომობილის ან მისი ცალკეული დეტალების ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;

ბ) ავტომობილის დაზიანება ან სრული განადგურება, რაც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით, ხანძრით, თვითაალებით, მეხის დაცემით ან/და აფეთქებით, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ვანდალიზმით, რაიმე საგნის დაცემით, სტიქიური უბედურებებით ან უბედური შემთხვევით (მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება გარეშე და აშკარა მიზეზებით);

გ) დამატებითი აღჭურვილობის, მინების, სარკეების და ა.შ. ქურდობა;

დ) უფლებამოსილი მძღოლის დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან (დაზღვევა ფარავს ამ მუხლის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი რისკებით გამოწვეული, უფლებამოსილი მძღოლის ჯანმრთელობაზე მიყენებული ფიზიკური ზიანის ანაზღურებასთან დაკავშირებულ სამედიცინო ხარჯებს, რაც დაკავშირებულია აღნიშნული რისკებით ავტომობილის დაზიანებასთან);

ე) მესამე პირის წინაშე პასუხიმგებლობის დაზღვევა (დაზღვევა ფარავს შემსყიდველის (დამზღვევის) პასუხისმგებლობას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის ავტომობილით მიყენებულ ზიანს ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში).

3. დაზღვევის ტერიტორია

დაზღვევის ტერიტორიაა მსოფლიოს ყველა ქვეყანა, გარდა გაერო-ს მიერ სანქცირებული ქვეყნებისა და კონფლიქტური ზონებისა.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: 5663 (ხუთი ათას ექვსასსამოცდასამი) ლარი 78 თეთრი.

4.2 მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და შემსყიდველის მიერ დამატებითი ავტომობილების დაზღვევის მოთხოვნისა.

4.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ბ) განახორციელეოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა გაწეული მომსახურების შესახებ;

გ) განახორციელოს ავტომობილების დაზღვევა ნულოვანი ფრანშიზით;

დ) დაზღვევის დამადასტურებლად გასცეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;

ე) კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, არ გაამჟღავნოს მონაცემები დამზღვევსა (დაზღვეულსა) და მის ქონებრივ მდგომარეობაზე, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის სადაზღვევო ურთიერთობების წარმოშობისას;

ვ) მიიღოს და განიხილოს დამზღვევის (დაზღვეულის) განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ;

ზ) შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი და განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, ავტომობილის დაზღვევის პირობებისა და სადაზღვევო პოლისის შესაბამისად;

თ) გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ყველა აუცილებელი მასალისა და დოკუმენტის მიღებიდან, ასევე სადაზღვევო შემთხვევის შესახებ აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ავტომობილის დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით;

ი) არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ აქტის ორმხრივად ხელმოწერამდე;

კ) განახორციელოს უფლებამოსილი მძღოლის დაზღვევა უბედური შემთხვევის დადგომისას, დამადასტურებელი დოკუმენტის კანონიერ ძალაში შესვლიდან და შესაბამისი საბანკო რეკვიზიტების მოწოდებიდან 24 საათის ვადაში (ლიმიტი 10000 ლარი ჯამურად, სუბლიმიტი ერთ პირზე 2000 ლარი).

დაზღვევა ფარავს უფლებამოსილი მძღოლის ჯანმრთელობაზე მიყენებული ფიზიკური ზიანით გამოწვეულ სამედიცინო ხარჯებს;

ლ) მესამე პირთა წინაშე დაზღვეული პასუხისმგებლობის რისკზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დაზღვეულის პასუხისმგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაზღვეულის მიერ მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) კანონიერ ძალაში შესვლიდან და შესაბამისი საბანკო რეკვიზიტების მოწოდებიდან 24 საათის ვადაში (ლიმიტი 5000 (ხუთი ათასი) ლარი);

მ) 2009 წელს და ზემოთ გამოშვებული ავტომობილის შეფასება და მომსახურება განახორციელოს შემსყიდველთან შეთანხმებულ ან/და შესაბამისი ავტომობილების სერვის-ცენტრებში, 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

ნ) სადაზღვევო რისკებით დამდგარი სატრანსპორტო შემთხვევისას გამოიძახოს ევაკუატორი და უზრუნველყოს ავტომობილის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება;

ო) უზრუნველყოს 24 საათიანი ასისტანსი;

პ) უზრუნველყოს დაზარალებული მესამე პირის შემთხვევის ადგილიდან რეანომობილით ტრანსპორტირება შესაბამის კლინიკაში და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯის ანაზღაურება (იმ შემთხვევაში თუ ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას დაზღვევის პირობების და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად), დაზარალებულის ნებისმიერი სახით მონაწილეობის გარეშე;

ჟ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2011 წლის 17 ნოემბრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

რ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს (დამზღვევს) დაზღვეულს გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია (შეწყვეტიდან ხელშეკრულების დასრულების ვადამდე არსებული პერიოდის და ხელშეკრულების სრული პერიოდის პროპორციულად). გამოუმუშავებელი პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება, თუ შესაბამის პოლისზე მზღვეველის მიერ ანაზღაურებულია ზარალი;

ს) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) შეატყობინოს მზღვეველს უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისათვის, გარდა დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილისა;

გ) გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ვადებში;

დ) მზღვეველის წარმომადგენლის (აგრეთვე შსს ორგანოების წარმომდგენლის) შემთხვევის ადგილზე გამოცხადებამდე არ მოახდინოს ზიანის დადგომის მომენტში არსებული ვითარების შეცვლა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ზარალის ოდენობის შემცირების ან ზიანის შემდგომი განვითარების თავიდან აცილების მიზნით), გარდა დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილისა;

ე) **დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ავტომობილის ექსპლუატაციის პირობებში ნებისმიერი არსებითი ცვლილების შესახებ, მათ შორის:**

ე.ა) სხვა პირისათვის სარგებლობაში, მფლობელობაში, საკუთრებაში ან მინდობილ საკუთრებაში გადაცემა;

ე.ბ) აღრიცხვიდან მოხსნა ან შსს ორგანოებში სათანადო წესით გადაფორმება;

ე.გ) ტექნიკური პასპორტის, რეგისტრაციის მოწმობის, სანომრე ნიშნის შეცვლა ან დაკარგვა. სანომრე ნიშნის შეცვლაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არ ვრცელდება დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილზე;

ვ) დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ავტომობილის დაზღვევის განაცხადში ან საიდენტიფიკაციო მონაცემებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

ზ) თან იქონიოს ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა, (რომელიც სავალდებულო წესით შემთხვევის დადგომისას უნდა წარმოადგინოს მზღვეველთან) და არ დატოვოს იგი ავტომობილში. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს ავტომობილის ქურდობა-ძარცვის რისკებით დამდგარი ზიანი (გამონაკლისს წარმოადგენს ამ პუნქტის „ე.გ" ქვეპუნქტი);

თ) შემთხვევის დადგომისთანავე განაცხადოს შემთხვევის ფაქტზე კომპეტენტურ ორგანოებში და მზღვეველის ცხელ ხაზზე (+995 32 2 505 111) (შსს, სახანძრო ინსპექცია და სხვ.), ხოლო არაუგვიანეს 48 საათისა წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზარალის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც აღნიშნულის გაკეთება შეუძლებელია დამზღვევის (დაზღვეულის) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამ შემთხვევაში მზღვეველისათვის ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია განახორციელოს დამზღვევის (დაზღვეულის) წარმომადგენელმა). დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილზე, შემთხვევის დადგომის შესახებ, დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია შეატყობინოს მზღვეველს არაუგვიანეს 48 საათისა, ამავე დროს, აღნიშნულ ავტომობილზე არ ვრცელდება შსს შესაბამის ორგანოებში შეტყობინების ვალდებულება;

ი) თუ ობიქტური მიზეზების გამო მზღვეველი ვერ მიდის შემთხვევის ადგილზე ან მის მიერ შემთხვევის ადგილზე გამოცხადებისათვის საჭიროა ორ საათზე მეტი, მაშინ დამზღვევი (დაზღვეული) უფლებამოსილია გადაადგილოს დაზიანებული ავტომობილი მზღვეველთან შეთანხმებით, ხოლო მზღვეველის წარმომადგენლისაგან ტელეფონით მიიღოს ინსტრუქცია შემდეგი ქმედებების შესახებ;

კ) დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სათანადო სახელმწიფო ორგანოების მოქმედების (გამოძახება დათვალიერების ჩასატარებლად, გამოძიება, გამოძახება სასამართლოში და სხვ.) დაწყება დამდგარი შემთხვევის ფაქტზე;

ლ) დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს მესამე პირისაგან ოფიციალური პრეტენზიის მიღების შესახებ;

მ) არ აღიაროს საკუთარი პასუხისმგებლობა და არ გასცეს პირობა ზიანის კომპენსაციაზე მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია მოიხსნას ნაკისრი პასუხიმგებლობა;

ნ) ხელი შეუწყოს მზღვეველს რეგრესის უფლების გამოყენებაში, გადასცეს მას სათანადო დოკუმენტაცია, უფლებამოსილებანი და დათმოს მოთხოვნის უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;

ო) **წინამდებარე პირობებითა და ავტომობილის დაზღვევის პოლისით განსაზღვრული შემთხვევის დადგომისას მზღვეველს წარუდგინოს:**

ო.ა) წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ;

ო.ბ) ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა;

ო.გ) მძღოლის მართვის მოწმობა;

ო.დ) მძღოლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (პასპორტი);

პ) ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის რისკზე შემთხვევის დადგომისას დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია მზღვეველს დამატებით წარუდგინოს:

პ.ა) დადგენილი ფორმით, ცნობა შსს სათანადო ორგანოებიდან, ავტომობილის ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის მითითებით) ან აღუძვრელობის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია წინასწარი საგამოძიებო მოქმედებების შესახებ;

ჟ) **ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად** ავტომობილის **განადგურების ან დაზიანების შემთხვევაში დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია მზღვეველს დამატებით წარუდგინოს:** დადგენილი ფორმით, ცნობა შსს სათანადო ორგანოებიდან, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს: ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი და თარიღი, ავტოსაგზაო შემთხვევის ყველა მონაწილის, ბრალდებულ(ებ)ის, მსჯავრდებულ(ებ)ის ვინაობა, მძღოლის მდგომარეობა შემთხვევის მოხდენის მომენტში (იმყოფებოდა თუ არა ალკოჰოლური ან/და ნარკოტიკული, ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ), აგრეთვე დაზიანების ხარისხის აღწერილობა, რომელიც მიიღო ავტომობილმა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები, გარდა დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილისა;

რ) **ხანძრის, მეხის დაცემის ან/და აფეთქების შედეგად** ავტომობილის **განადგურების ან დაზიანების შემთხვევაში, დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია მზღვეველს დამატებით წარუდგინოს:** ცნობები საქართველოს შსს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურიდან, ან შსს-ს შესაბამისი ორგანოებიდან;

ს) **ვანდალიზმის შედეგად** ავტომობილის **დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში,** მზღვეველის მოთხოვნის საფუძველზე, დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია მზღვეველს წარუდგინოს: დადგენილი ფორმით ცნობა შსს-ს სათანადო ორგანოებიდან, მზღვეველის "ზარალის

შესახებ ანკეტა-განაცხადის" მიხედვით დაზიანების ჩამონათვალი, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: განადგურების ან დაზიანების მიზეზები, აგრეთვე ავტომობილის დაკარგული ნაწილების ჩამონათვალი. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საქმის დამადასტურებელი დოკუმენტები, მონაცემები საგამოძიებო მოქმედებათა შედეგების შესახებ და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები. დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილზე არ ვრცელდება შსს შესაბამისი ორგანოებიდან ცნობის წარმოდგენის ვალდებულება;

ტ) მესამე პირთა წინაშე დაზღვეულის პასუხისმგებლობის ან უბედური შემთხვევის რისკის დადგომისას დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია მზღვეველს წარუდგინოს:

ტ.ა) დადგენილი ფორმით, ცნობა შსს-ს სათანადო ორგანოებიდან, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს: ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი და თარიღი, ავტოსაგზაო შემთხვევის ყველა მონაწილის, ბრალდებულ(ებ)ის, მსჯავრდებულ(ებ)ის ვინაობა, მძღოლის მდგომარეობა შემთხვევის მოხდენის მომენტში (იმყოფებოდა თუ არა ალკოჰოლური ან/და ნარკოტიკული, ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ), აგრეთვე დაზიანების ხარისხის აღწერილობა, რომელიც მიიღო ავტომობილმა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები, გარდა დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილისა;

ტ.ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის, მკურნალობის საფასურის და/ან გარდაცვალების დამადასტურებელი ცნობები;

უ) ავტომობილის დაზიანებისას ან განადგურებისას, დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია მზღვეველს წარუდგინოს: ცნობა კომპეტენტური ორგანოებიდან მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის მითითებით, რომელშიც სხვა საჭირო ინფორმაციასთან ერთად მითითებულია ინფორმაცია მძღოლის მდგომარეობის შესახებ შემთხვევის მოხდენის მომენტში (იმყოფებოდა თუ არა ალკოჰოლური ან/და ნარკოტიკული, ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ), გარდა დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილისა;

ფ) თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ გატაცებული (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) ავტომობილი ნაპოვნი იქნება, დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია, გადასცეს იგი მზღვეველს საკუთრებაში კანონით დადგენილი წესით ან დაუბრუნოს მზღვეველს მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება. დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ მზღვეველზე გადაიცემა ავტომობილი ან მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება დაუბრუნდება ავტომობილის პოვნისა და მისი დამზღვევისათვის (დაზღვეულისათვის) დაბრუნებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში. ავტომობილის მზღვეველზე გადაფორმების ხარჯებს იღებს დამზღვევი (დაზღვეული);

ქ) არ დაიწყოს ავტომობილის შეკეთება მზღვეველის თანხმობის გარეშე;

ღ) მიიღოს გონივრულობის ფარგლებში ყველა ზომა სადაზღვევო შემთხვევიდან გამოწვეული ყველა შესაძლო ზარალის შესამცირებლად, მოპარული ავტომობილის დასაბრუნებლად;

ყ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. მხარეთა უფლებები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტომობილის დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით;

ბ) მზღვეველთან შეთანხმებით შეცვალოს დაზღვევის პირობები;

გ) მოითხოვოს ექსპერტიზის ჩატარება, საკუთარი ხარჯებით, იმ ორგანიზაციის მეშვეობით, რომელსაც აქვს საექსპერტო შეფასების უფლება.

6.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში;

ბ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაათვალიეროს ავტომობილი;

გ) დამზღვევის (დაზღვეულის) დასწრებით (თუ ეს შესაძლებელია), შეადგინოს დაზიანებული ავტომობილის დათვალიერების აქტი;

დ) ავტომობილის დაზიანებისას შეაკეთოს დაზიანებული ნაწილები, თუ ისინი ექვემდებარება აღდგენას;

ე) ავტომობილის დაზიანების გამო ანაზღაურების გაცემისას დამზღვევისაგან (დაზღვეულისგან) მოითხოვოს მზღვეველის მიერ შეცვლილი ნაწილების, ხოლო განადგურებული ავტომობილის ანაზღაურების გაცემისას – თავად განადგურებული ავტომობილის გადაცემა მზღვეველის საკუთრებაში;

ვ) შეადგინოს შეკეთების ღირებულების კალკულაცია (ნუსხა), დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე;

ზ) დამზღვევის (დაზღვეულის, მოსარგებლის) თანხმობით, მისი სახელით თავის თავზე აიღოს მისი უფლებების დაცვა ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში და მიიღოს სათანადო დოკუმენტაცია და უფლებამოსილება;

თ) არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ ავტომობილის დაზღვევის პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისას;

ი) მიანიჭოს დამზღვევს (დაზღვეულს) შეღავათები ან/და გაათავისუფლოს იგი ვალდებულებისაგან, თუნდაც ამას არ ითვალისწინებდეს ან უგულვებელყოფდეს წინამდებარე პირობები;

კ) თუ კომპეტენტური ორგანოები ფლობენ მასალებს ან საფუძვლიან ვარაუდს, რომელიც მზღვეველს აძლევს საფუძველს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, მზღვეველს აქვს უფლება გადაავადოს ანაზღაურების გაცემა საჭირო ვითარების გარკვევამდე. ამ შემთხვევაში მზღვეველი დამზღვევს (დაზღვეულს) წარუდგენს გადავადების საფუძვლად არსებულ ინფორმაციას და დოკუმენტაციას, გარდა დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილისა;

ლ) არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება თუკი დამზღვევი (დაზღვეული) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832–ე მუხლის თანახმად უარს იტყვის თავის მოთხოვნაზე ან მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე.

მ) დამზღვევის (დაზღვეულის) სახელით წარმართოს და გააკონტროლოს ზარალის დარეგულირების პროცესი;

ნ) არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება თუ დამზღვევი (დაზღვეული) ან მისი თანამშრომელი/წარმომადგენელი რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება გააყალბოს პრეტენზია ზარალის შესახებ. აღნიშნული პირობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) ან მისი თანამშრომელი/წარმომადგენელი შეგნებულად ზრდის ზარალის თანხას ან მიმწოდებელს აწვდის ყალბ დოკუმენტაციას.

ო) მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევისას, ზარალის შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი გამოკვლევების ჩატარება მიმწოდებლის მიერ დანიშნულ ექიმთან. ამგვარი გამოკვლევები ჩატარდება მზღვეველის ხარჯზე;

პ) მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევისას, ზარალის შემთხვევაში ანაზღაურების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს სამედიცინო და სხვა სახის ოფიციალური დოკუმენტები. დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში შესაძლოა, დანიშნოს ექიმი/ექსპერტი სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად.

7. ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

7.1 სადაზღვევო ანაზღაურების მიღებისათვის, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული შემთხვევის დადგომიდან 48 საათის განმავლობაში წარმოდგენილი წერილობითი განაცხადის გარდა, დამზღვევმა (დაზღვეულმა) მზღვევლს, უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: შემთხვევის ადგილზე შსს ორგანოების წარმომადგენლების მიერ შედგენილი დოკუმენტაციის ასლები; დამზღვევი (დაზღვეული) და დაზიანებული ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობის ასლი; ავტომობილის მძღოლის მართვის მოწმობის ასლი; ავტომობილის მძღოლის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი; დამზღვევის (დაზღვეულის) წერილობითი თანხმობა, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემასთან დაკავშირებით (თუ შემთხვევის დადგომის შედეგად აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან დაწყებულია გამოძიება, მაშინ შესაძლოა მზღვეველმა გარემოებების დაზუსტების მიზნით ასევე მოითხოვოს წინასწარი გამოძიების შედეგების ამსახველი წერილის ან დადგენილების ასლის წარმოდგენა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებიდან);

7.2 ამ მუხლის 7.1 პუნქტით განსაზღვრული საბუთების მიღებიდან და ზარალის დაანგარიშებიდან (ხარჯთაღრიცხვა) 5 სამუშაო დღის განმავლობაში მზღვეველი იღებს გადაწყვეტილებას ზიანის ანაზღაურების შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღეში დგება სადაზღვევო

შემთხვევის აქტი და აქტზე მხარეთა ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღეში ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;

7.3 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, როდესაც ამ უკანასკნელის არსებობა ეჭვს არ იწვევს და შესაბამისად არ საჭიროებს საგამოძიებო ღონისძიებების გატარებას, ზარალი დარეგულირდება უმოკლეს ვადებში და სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ზარალის დარეგულირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიღებიდან და სადაზღვევო შემთხვევის შესახებ აქტის შედგენიდან 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში.

7.4 ავტომობილის დაზიანებისას ზიანის ოდენობა ანგარიშდება მზღვეველის ექსპერტის მიერ შედგენილი და/ან დაზღვეულის მიერ წარმოდგენილი კალკულაციის საფუძველზე. ზიანის ოდენობაში შეიტანება აგრეთვე დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ გაწეული ხარჯი, რომელიც მან მზღვეველთან შეთანხმებით გაიღო დაზიანებული ავტომობილის ტრანსპორტირებისათვის უახლოეს სარემონტო ადგილამდე, თუ დაზიანებულ ავტომობილს დამოუკიდებლად მოძრაობა არ შეეძლო;

7.5 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველი აანაზღაურებს რეალური ზარალის ადეკვატურ თანხას. ამ თანხას გამოაკლდება უკვე ანაზღაურებული თანხები (თუ ასეთი არსებობდა და შემდგომში სადაზღვევო თანხა აღდგენილი არ იქნა);

7.6 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველის მიერ ანაზღაურებული თანხა არ გადააჭარბებს ზარალის მომენტისთვის დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულებას;

7.7 დაზიანებული ან/და მოპარული აქსესუარებისათვის თანხის ანაზღაურება მოხდება სადაზღვევო შემთხვევამდე ამ აქსესუარების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს მისი სადაზღვევო თანხისა;

7.8 ავტომობილის ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან განადგურებისას სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სადაზღვევო თანხის მიხედვით;

7.9 ავტომობილის განადგურებად ითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება, მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს. სრული განადგურების შემთხვევაში მზღვეველი დანართი №1-ით და დანართი №2-ით განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ ავტომობილის მზღვეველზე გადმოფორმების შემდეგ, რომელიც მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში იგივე ოდენობით, რა ოდენობითაც დადგენილია მისი ნარჩენი საბალანსო ღირებულება (მათ შორის არ იანგარიშება ყოველთვიური ცვეთა);

7.10 განადგურებისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა რეალიზაციისათვის ვარგისი ნარჩენების მზღვეველისათვის გადაცემის შემდეგ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. დაზიანებული ავტომობილის მზღვეველზე გადაცემა უნდა მოხდეს დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ შსს ორგანოში აღრიცხვიდან მოხსნის ხარჯებს ანაზღაურებს დამზღვევი (დაზღვეული), წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება.

7.11 ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა პირობით, თუ დამზღვევი (დაზღვეული) გატაცებულ ავტომობილზე საკუთრების უფლებას მზღვეველს გადასცემს;

7.12 ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან განადგურების რისკებით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, სადაზღვევო პოლისი, შესაბამის ავტომობილთან მიმართებაში უქმდება და სადაზღვევო თანხა შემსყიდველის მიერ დარჩენილ პერიოდზე არ გადაიხდება;

7.13 მზღვეველი იღებს ვალდებულებას, რომ იმ ავტომობილის შეკეთებას, რომელზეც ვრცელდება საგარანტიო მომსახურება, განახორციელებს (აანაზღაურებს) შესაბამის სერვის ცენტრში;

7.14 ზიანის ოდენობაში არ შეიტანება: ავტომობილის საგარანტიო შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ღირებულება; სამუშაოები, დაკავშირებული ავტომობილის რეკონსტრუქციასთან, გადაწყობასთან, ან ცალკეული ნაწილების გამოცვლასთან (დამატებით აღჭურვა);

7.15 შეკეთებისა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ ავტომობილი მზღვეველს დასათვალიერებლად უნდა წარედგინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში შემდგომში ანალოგიური დაზიანება ზიანის ანგარიშში არ იქნება გათვალიწინებული.

7.16 მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევისას ანაზღაურებას ექვემდებარება თანხა, რომლის გადახდასაც დამზღვევს (დაზღვეულს) დააკისრებს სასამართლო მის მიერ დაზღვეული ავტომობილით მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდება რამდენიმე მესამე პირი, ხოლო დამზღვევზე (დაზღვეულზე) დაკისრებული ჯამური

პასუხისმგებლობის ოდენობა გადაჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურება ყოველი მხარის მიმართ მოხდება პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);

7.17 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველს უფლება აქვს გადაამოწმოს დაზღვეული ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლები და VIN კოდი. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ავტომობილი იმყოფება ძებნაში და/ან ავტომობილის მახასიათებლები არ ემთხვევა მისი VIN კოდის შესაბამის მახასიათებლებს (რომელიც მზღვეველმა მოიპოვა ავტომობილის მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური წყაროს მეშვეობით), მაშინ მზღვეველი უფლებას იტოვებს არ აანაზღაუროს ზარალი.

7.18 თუ ზარალის ოდენობა აღემატება სადაზღვევო თანხის 40%-ს, მზღვეველი სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართავს განადგურებული ავტომობილის ნარჩენი საბალანსო ღირებულების იდენტურ ოდენობას, ხოლო დამზღვევი (დაზღვეული) პრემიის ოდენობას სრულად გადაუხდის მიმწოდებელს.

7.19 სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, თუ ავტომობილისთვის მიყენებული ზიანი შედეგია (გამოწვეულია):

ა) ავტომობილის მართვისა ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების მდგომარეობაში ან იმ სამკურნალო პრეპარატების მიღებისა, რომლებიც უკუჩვენებაშია ავტომობილის მართვასთან;

ბ) ავტომობილის მართვისა იმ პირის მიერ, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.20 პუნქტის შესაბამისად არ წარმოადგენს უფლებამოსილ მძღოლს, თუმცა ეს გამონაკლისი არ ვრცელდება, თუ დაზღვეული ავტომობილი გაიტაცეს ან მოიპარეს;

გ) ავტომობილის როგორც ტვირთის ტრანსპორტირებისა (გარდა ბუქსირით), აგრეთვე მისი დატვირთვა ან გადმოტვირთვის;

დ) ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილის ექსპლუატაციისა ან რომელსაც დროულად არ გაუვლია სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება, აგრეთვე იმ ავტომობილის ექსპლუატაციისა, რომელსაც გააჩნია გაუმართაობები, რომელთა არსებობისას აკრძალულია მოძრაობა საგზაო უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ე) როდესაც, დაზღვეული ავტომობილი არ გამოიყენება იმ დანიშნულებით, რაც მითითებულია დაზღვევის სერთიფიკატში, გარდა დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილისა;

ვ) როდესაც, ავტომობილში მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებს, გარდა დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილისა;

ზ) როდესაც, დაზღვეული ავტომობილი გადატვირთულია ან გამოიყენება შეუსაბამო საგზაო პირობებში, გარდა დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილისა;

თ) როდესაც, დაზღვეული ავტომობილის მძღოლი აჭარბებს საგზაო მოძრაობის წესებით დადგენილი სიჩქარის ლიმიტს, გარდა დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილისა;

ი) როდესაც, დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით მოძრაობს (გარდა დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის და/ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით;

კ) როდესაც, ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის საპროექტო ან კონსტრუქციული დეფექტებით;

ლ) როდესაც, ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის მძღოლის მიერ თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით;

მ) სხვადასხვა სახის რბოლებში მონაწილეობით;

ნ) იონიზირებული რადიაციით ან რადიოაქტიული დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიოქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით; ომით; ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით; შემოჭრით, მტრული ძალების ქმედებით, მტრული ან საომარი მოქმედებით; სამოქალაქო მღელვარებით, რაც საერთო სახალხო არეულობად იქცევა; სამხედრო ხელისუფლების მიერ (მიუხედვად იმისა, რომ ხორციელდება კანონიერად არჩეული მთავრობის მიერ); უზურპირებული ხელისფლების მიერ (როდესაც ძალაუფლებას უკანონოდ ხელში იღებს პირი ან პირთა ჯგუფი).

ო) გაუფასურებით, ამორტიზაციით, ცვეთით, მექანიკური და ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლით ისეთი მიზეზით/ რისკებით, რაც არ არის გათვალისწინებული (დაფარული) წინამდებარე ხელშეკრულებით; კომპიუტერის მწყობრიდან გამოსვლა არასადაზღვევო შემთხვევის შედეგად;

პ) საბურავების დაზიანებით, თუ ეს არ არის გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევით;

ჟ) რეაქტიული თვითმფრინავის ან სხვა საფრენი აპარატით წარმოქმნილი ტალღით გამოწვეული დაზიანებისას;

რ) ავტომობილის შეკეთების შედეგად წარმოქმნილი გაუფასურებით;

ს) კონფისკაცია, დაპატიმრება, დაკავება ან სახელმწიფო ორგანოების დავალებით გამოწვეული დაზიანება/ზარალით;

ტ) როდესაც ზარალი გამოწვეულია მექანიკური ანდა ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლით. არ ანაზღაურდება აგრეთვე კომპიუტერისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებით გამოწვეული ხარჯები, თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;

უ) ნებისმიერი ისეთი სარემონტო თუ სხვა სახის ხარჯით, რაც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით;

ფ) ნებისმიერი სარემონტო ხარჯით, რომლებიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;

ქ) აგრეთვე არ ანაზღურდება, ინტერიერის, სავარძლების, შალითების და ხალიჩების ცალკეული დაზიანება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დაზიანება გამოწვეულია მესამე პირთა ბოროტგანზრახული ქმედებით;

ღ) აგრეთვე არ ანაზღურდება, ტენტების, სალონის საფარი ბრეზენტების დაზიანება (თუ საგანგებოდ არ არის მითითებული პოლისში);

ყ) აგრეთვე არ ანაზღურდება, უხარისხო გზით გამოწვეული სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის ან საბურავების ცალკეული დაზიანება, გარდა დანართი №2-ით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ავტომობილისა;

შ) მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში - აღნიშნული პასუხისმგებლობა დაფარულია ნებისმიერი სხვა დაზღვევით;

ჩ) მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში - ზარალი მიყენებულია დაზღვეული პირის ქონებისთვის.

8. რეგრესის უფლება

8.1 სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მზღვეველზე გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევს (დაზღვეულს) გააჩნია ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ (წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს არ აანაზღაუროს დამდგარი ზარალი ან მოითხოვოს ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნება).

8.2 დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია ხელი შეუწყოს მზღვეველს რეგრესული უფლების განხორციელებაში და გადასცეს ყველა ის საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გადმოსული მოთხოვნის უფლების სარეალიზაციოდ (წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს არ აანაზღაუროს დამდგარი ზარალი ან მოითხოვოს ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნება).

9 . ხარისხი

შესრულებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

10.2 ინსპექტირებას განახორციელებენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი **გვანცა ფუნთუშაშვილი,** ამავე **სამმართველოს სპეციალისტი ბესიკ კოპალიანი** და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების **უფროსი სპეციალისტი ირაკლი დვალი,** რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

10.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხოდ გაწეული

მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის, გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

10.4 თუ ამ მუხლის 10.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

11. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

11.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

11.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი **მამუკა კვირიკაშვილი.**

12. ანგარიშსწორება

12.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

12.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-15 მუხლის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტის „თ", „კ", „ლ", „მ", „ო", „პ" და „ჟ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ასეთ დღეზე შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულების 10.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი მომსახურების ან წუნდებით გაწეული მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

14.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

16. დავების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.

17.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტამდე 14 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 17 ნოემბრიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

18.2 იმ შემთხვევაში თუ მხარის (მხარეების) მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების (ვალდებულებების) შესრულება ვერ ესწრება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ხელშეკრულება მოქმედებს მანამ, სანამ არ შესრულდება შესაბამისი ვალდებულება (ვალდებულებები).

19. ფორს-მაჟორი

19.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

19.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

19.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

20. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

შემსყიდველი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16
ტელეფონი: 2-261-334,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ-204862078

მიმწოდებელი

სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №67,
ტელეფონი: 2-505-111,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE13TB1100000005700652,
სს „თიბისი ბანკი", კოდი 220101850 (TBCBGE22),
სკ – 204426674

დანართი №1

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ავტომობილების სია, რომლებზეც უნდა გავრცელდეს დაზღვევის ჩვეულებრივი პირობები								
№	ავტომანქანის დასახელება	სახელმწიფო №	გამოშვების წელი	საბალანსო ღირებულება	პრემია 1 (ლარი)	პრემია 2 (ლარი)	პრემია 3 (ლარი)	პრემია სულ (ლარი)
1	TOYOTA LANDCRUISER LC200	2011	BVB-747	120,165.30	800	10	10	820
2	MITSUBISHI L200	2008	LVL-879	30,000.00	200	10	10	220
3	BMW X5	2006	PBP-148	42,000.00	280	10	10	300
4	SKODA OCTAVIA	2011	BVB-597	33,113.52	220	10	10	240
5	SKODA OCTAVIA	2011	BVB-598	33,113.52	220	10	10	240
6	SKODA OCTAVIA	2011	BVB-601	33,113.52	220	10	10	240
7	SKODA OCTAVIA	2011	BVB-602	33,113.52	220	10	10	240
8	SKODA OCTAVIA	2011	BVB-603	33,113.52	220	10	10	240
9	SKODA OCTAVIA	2011	BVB-604	33,113.52	220	10	10	240
10	SKODA OCTAVIA	2011	BVB-607	33,113.52	220	10	10	240
11	SKODA OCTAVIA	2011	BVB-608	33,113.52	220	10	10	240
12	TOYOTA LAND CRUISER PRADO	2006	MSS-022	44,049.60	293	10	10	313
13	HUMMER H-2	2007	VFV-303	46,000.00	306	10	10	326
14	HYUNDAI GETZ	2007	ZRZ-738	9,000.00	60	10	10	80
15	VAZ 21214	2011	FSF561	17,755.58	118	10	10	138
16	VAZ 21214	2011	FSF563	17,755.58	118	10	10	138
17	VAZ 21214	2011	FSF489	17,755.58	118	10	10	138
18	VAZ 21214	2011	FSF564	17,755.58	118	10	10	138
19	VAZ 21214	2011	FSF582	17,755.58	118	10	10	138

20	VAZ 21214	2011	FSF594	17,755.58	118	10	10	138
21	VAZ 21214	2011	FSF824	17,755.58	118	10	10	138
22	BMW X5	2001	FSF831	13,000.00	87	10	10	107
23	VW Golf	1994	FSF273	3,000.00	20	10	10	40
			სულ		**4636.39**	**230.00**	**230.00**	**5096.39**

*შენიშვნა: * პრემია 1 - პრემია 'ავტო ტრონიკისათვის'*
** პრემია 2 - პრემია MTPL-სათვის (5'000 ლარიანი ლიმიტი)*
** პრემია 3 - პრემია MA-სათვის (10'000/2'000 ლარი ლიმიტი)*

შემსყიდველი

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი,
გორგასლის ქუჩა №16
ტელეფონი: 2-261-334,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ-204862078

მიმწოდებელი

სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი
ჰოლდინგი"
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას
ქუჩა №67,
ტელეფონი: 2-505-111,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE13TB1100000005700652,
სს „თიბისი ბანკი",
კოდი 220101850 (TBCBGE22),
სკ – 204426674

დანართი №2

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ავტომობილების სია, რომლებზეც უნდა გავრცელდეს დაზღვევის განსაკუთრებული პირობები (სპეციალური დანიშნულების ავტომობილები)								
№	ავტომანქანის დასახელება	სახელმწიფო №	გამოშვების წელი	საბალანსო ღირებულება	პრემია 1 (ლარი)	პრემია 2 (ლარი)	პრემია 3 (ლარი)	პრემია სულ (ლარი)
1	BMW X5	2008	LVL-481	60,000.00	547.40	10	10	567.40
			სულ		**547.40**	**10.00**	10	567.40

*შენიშვნა: * პრემია 1 - პრემია 'ავტო ტრონიკისათვის'*
** პრემია 2 - პრემია MTPL-სათვის (5'000 ლარიანი ლიმიტი)*
** პრემია 3 - პრემია MA-სათვის (10'000/2'000 ლარი ლიმიტი)*

შემსყიდველი

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი,
გორგასლის ქუჩა №16
ტელეფონი: 2-261-334,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ-204862078

მიმწოდებელი

სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი
ჰოლდინგი"
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას
ქუჩა №67,
ტელეფონი: 2-505-111,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE13TB1100000005700652,
სს „თიბისი ბანკი",
კოდი 220101850 (TBCBGE22),
სკ – 204426674

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საგამოძიებო სამსახური

MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
INVESTIGATION SERVICE

№ 7352 / 15-05
„10" 11 2011 წ/y

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსს
ქალბატონ ნინო მჭედლიშვილს

ქალბატონო ნინო,

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს საგამოძიებო სამსახურის სახელზე რიცხულ ა/მანქანებს:

1. „VAZ 21214 "----------FSF-561
2. „VAZ 21214 "----------FSF-563
3. „VAZ 21214 "----------FSF-489
4. „VAZ 21214 "----------FSF-564
5. „VAZ 21214 "----------FSF-582
6. „VAZ 21214 "----------FSF-594
7. „VAZ 21214 "----------FSF-824
8. "BMW X5 " ----------FSF-831
9. "VOLKSWAGEN GOLF-----FSF-273

გაუწიონ ტექნიკური და სადაზღვეო მომსახურეობები.

პატივისცემით

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე კუტიბაშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 97493/01
„10" 11 2011 წ.
უფროსის რეზოლუცია

ქ. თბილისი, 0177, უნივერსიტეტის ქ. №2ª; ტელ.: (995 32) 26 20 48, 26 20 47, 26 20 46; ფაქსი: (995 32) 26 20 18, 26 20 48
Tbilisi, Georgia, 0177, 2ª, Universiteti str.; Tel.: (995 32) 26 20 48, 26 20 47, 26 20 46; Fax: (995 32) 26 20 18, 26 20 48

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საგამოძიებო სამსახური

MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
INVESTIGATION SERVICE

№ 5603/15-05
24. 08. 2011 წ/y

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ნინო მჭედლიშვილს

ქალბატონო ნინო,

სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, გთხოვთ უმცირეს ვადებში დაგვიზღვიოთ საგამოძიებო სამსახურის სახელზე რიცხული 2(ორი) ავტომანქანა "HUMMER H-2" სახ.ნომერი VFV-303 და HYUNDAI Getz სახ.ნომერი ZRZ-738, ამასთან ერთად უზრუნველოთ მათი ტექ-მომსახურება.

პატივისცემით
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე კუტიბაშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 53756/01
25. 08. 2011 წ.
ფურცლის რაოდენობა 1

ქ. თბილისი, 0177, უნივერსიტეტის ქ. №2ª; ტელ.: (995 32) 26 20 48, 26 20 47, 26 20 46; ფაქსი: (995 32) 26 20 18, 26 20 48
Tbilisi, Georgia, 0177, 2ª, Universiteti str.; Tel.: (995 32) 26 20 48, 26 20 47, 26 20 46; Fax: (995 32) 26 20 18, 26 20 48

GEORGIA

ZRZ738

მარკა, მოდელი
Model
HYUNDAI GETZ

გამოშვების წელი
production year
2007

ფერი
Color
GRAY 1/8

ტიპი
Vehicle type
HATCHBACK

GEORGIA

KMHBU51DP7U691449

ERTIFICAT D'IMMATRICULATION

AV6657319

01/07/2011

1164 27/06/2011

Order of Financial Ministry

GEORGIA

VFV303

მარკა, მოდელი Model	JEEP HUMMER H2
გამოშვების წელი Production year	2007
ფერი Color	შავი BLACK
ტიპი Vehicle type	მსუბუქი მაღალი გამავლობის LIGHT HIGH PASSABILITY
ძრავის მოცულობა Engine capacity	6200

რეგისტრაციის ნომერი
Registration number

კუთვნილება
Belonging

GEORGIA

ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი
Vehicle ID number 5GRGN2381BH106613

ERTIFICAT D'IMMATRICULATION AV6910706

გაცემულია Issued	23/08/2011

ძარის Body	№
ძრავის Engine	№
შასის Chassis	№
დამატებითი წონა Gross load kgs	
დასაშვები Max. permissible load kgs	

1603 19/08/2011
Order of Financial Ministry

17.11.2011

საქართველოს ფინანსთა მინისტრს
ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის
ნინო მჭედლიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დიმიტრი,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2011 წლის 01 აგვისტოს, 15 აგვისტოს, 15 სექტემბერს და 09 ნოემბერს გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ძრავიანი ავტომობილების სრული დაზღვევის მომსახურების შესყიდვაზე. აღნიშნული ტენდერები არ შედგა.

აქვე გაცნობებთ, რომ საგამოძიებო სამსახურმა 2011 წლის 10 ნოემბრის №7352/15-05 წერილით (დანართის სახით წარმოგიდგენთ აღნიშნული წერილის ასლს) მოგვმართა, შვიდი ერთეული ,,VAZ 21214'', ერთი ერთეული ,,BMW X5'' და ერთი ერთეული ,,VOLKSWAGEN GOLF'' მარკის ავტომობილის დაზღვევის მოთხოვნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ძრავიანი ავტომობილების სრული დაზღვევის მომსახურება (სადაზღვევო პრემია წლიური – ჩვეულებრივ ავტომობილებზე–5,93%, საგამოძიებოს სპეც ავტომობილებზე –7,60%) "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად შესყიდულ იქნას გამარტივებული შესყიდვით.

პატივისცემით,

ნინო მჭედლიშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 52333-02
16 11 2011 წ.
ფურცლის ოდენობა 1

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2011 წლის „17" „ნოემბერი"

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ავტომანქანების დაზღვევის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი _____ გიორგი კერვალიშვილი

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი _____ მამუკა კვირიკაშვილი

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ გვანცა ფუნთუშაშვილი

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ ბესიკ კოპალიანი

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ ირაკლი დვალი